„ფინანსური განათლება სკოლაში“

კომპლექსური დავალება

საგანი: მოქალაქეობა;

საფეხური/კლასი: საბაზო საფეხური/მე-7 კლასი;

თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში;

სამიზნე ცნება:საზოგადოება/დემოკრატია/სამოქალაქო მონაწილეობა;

საკითხი/ქვესაკითხები:დაზოგვა/ქველმოქმედება/ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება;

შეფასების ინდიკატორები-მოსწავლემ უნდა შეძლოს:

საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, საზოგადოება)

- გააანალიზოს, თუ რა განაპირობებს ადამიანების ეკონომიკურ აქტივობას; რა ლოგიკით იღებენ ისინი ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას (მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13);

დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები)

- ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღებისას დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, ტოლერანტობა) გათვალისწინება (მოქ.საბ.3,4,9,10,11,13);
- საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებისა და კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა (მოქ.საბ.1,3,5,6,7,10);

სამოქალაქო მონაწილეობა

- თემში არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობისა და გზების გაცნობიერება (მოქ.საბ.1,2,3,4,5,6, 7,8,9,10,11,12);

გაკვეთილის გეგმის შესასრულებლად საჭირო რესურსები:

- „ჭკვიანი დაფა“ან (პროექტორი /ეკრანი)
- ნოუთბუქი;
- ინტერნეტი;
- ფურცლები/კალმები/მარკერები
- მასალა პრაქტიკული სამუშაოსთვის: გუაშის საღებავები, ფუნჯები, მაკრატლები, საკანცელარიო დანები, წებო, ფერადი ფანქრები, ჩხირები, მუყაოს მეორადი ყუთები, მეორადი ნაჭრები, ფერადი მარკერები, ფანქრები, ხის ჩხირები,სცენის კონსტრუქცია, სასცენო ფარდა;

კომპლექსური დავალების პირობა:

გაეცანით სიტუაციას(ქეისს) და მასზე დაყრდნობით შექმენით მინი ინსცენირება,გამოყავით პრობლემა,პრობლემის გამომწვევი მიზეზები და დასახეთ გადაჭრის გზები. კომპლექსური დავალების შესასრულებლად ოჯახში, სკოლაში, მაღაზიაში დაგროვილი ნარჩენებისაგან(მუყაოს ყუთი, ნაჭრები, ჩხირები და სხვა) შექმენით ეკო თოჯინები(პერსონაჟები/რეკვიზიტები),გაინაწილეთ როლები და ინსცენირებები წარმოადგინეთ თეატრალიზებული(ეკო თოჯინების თეატრი) სახით ,გამართეთ ჩვენება კლასის წინაშე.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი და სხვა ადამიანის უფლება-მოვალეობის დაცვის უზრუნველყოფა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა?
- რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი ინიციატივით მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვა- მონაწილეობა?
- როგორ უნდა აღმოაჩინოს პრობლემები,დაინახოს საჭიროება და იმოქმედოს მოქალაქემ მის გასამკლავებლად?
- როგორი უნდა იმოქმედოს ადამიანმა ლოკალურად,რომ მიიღოს გლობალური შედეგები ?

გაკვეთილი № 1

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ მომდევნო რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში იმუშავებენ საკითხებზე: „დაზოგვა/ ქველმოქმედება/ ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება“ . აცნობს კომპლექსურ დავალებას და დეტალურად აძლევს ინსტრუქციას,თუ რა პროდუქტი უნდა შექმნან საკუთარი ცოდნის წარმოსაჩენად (იხ. კომპლექსური დავალების პირობა). მასწავლებელი უხსნის ,თუ როგორ უნდა შექმნან მინი სცენარები ქეისზე დაყრდნობით „თავისუფალი“ წარმოდგენის მეშვეობით.

„თავისუფალი“ წარმოდგენა:

- ჩამოწერეთ ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული (დაზოგვა/ქველმოქმედება/ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება);
- შექმენით სცენარი
- გადაინაწილეთ როლები და განსაზღვრეთ, რა არის ის მნიშვნელოვანი, რაც თითოეული როლის შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს.
- მოიმარაგეთ ყველა საჭირო მასალა და დაამზადეთ ეკო თოჯინები
- მოამზადეთ სცენა /გაიარეთ რეპეტიცია.
- გამართეთ წარმოდგენა/ წარმოდგენა შეაფასეთ თქვენს თანაკლასელებთან ერთად.

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს **„შესასვლელი ბარათები“(იხ.დანართი 1)**,რომელიც დაეხმარება ინფორმაცია მოიპოვოს მოსწავლეთა წინარე ცოდნის,ინტერესების შესახებ და მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს გაკვეთილებში ცვლილებების შესატანად;

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება მოაგროვონ (სკოლაში, სახლში, სუპერმარკეტში) მუყაოს მეორადი ყუთები, ნაჭრები, ფოლაქები, მძივები,ჩხირები და მოიტანონ სკოლაში.

გაკვეთილი № 2

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით იხსენებენ კომპლექსური დავალების შენაარსს და სამუშაო თემატიკას.

მოსწავლეები ეცნობიან პირველ ქეისს(იხ.დანართი 2) **„მერაბის ოჯახის ისტორია“.** გამოკვეთენ პრობლემას, გამომწვევ მიზეზებს,აკეთებენ ანალიზს და აკავშირებენ ყოველდღიურობასთან, თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს,თუ პრობლემის გადაჭრა არ /ვერ მოხდა.

საკითხის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციას დაზოგვასთან დაკავშირებით ინტერაქციული პრეზენტაციის(ფინედუ-დაზოგვა) სახით(მოსწავლეები ელექტრონულად ავსებენ პრეზენტაციაში მოცემულ სხვადასხვა სავარჯიშოებს) (იხ.დანართი 3) და უჩვენებს ვიდეორგოლს.

მოსწავლეები მართავენ დისკუსიას და პასუხობენ კითხვებს:

- რატომ ზოგავენ ადამიანები?
- რატომ არის დაზოგვა მნიშვნელოვანი?
- რატომ არ გამოსდით ადამიანებს დაზოგვა?
- რა შედეგები შეიძლება მოყვეს დანაზოგების ნაკლებობას?
- როგორ დაგვეხმარება დაზოგვა მოულოდნელ ფინანსურ გამოწვევებთან გამკლავლებაში?
- რა სარგებელი მოაქვს რეგულარულ დაზოგვას?
- სად და როგორ შეგვიძლია დავზოგოთ?

გაკვეთილი № 3

მასწავლებელი და მოსწავლეები იხსენებენ წინა გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას დაზოგვასთან დაკავშირებით.

მოსწავლეები ეცნობიან მე-2 ქეისს(იხ.დანართი 2) **„ლიზას ისტორია“,** გამოკვეთენ პრობლემას,გამომწვევ მიზეზებს,აკეთებენ ანალიზს და აკავშირებენ ყოველდღიურობასთან,თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს,თუ პროელემის გადაჭრა არ /ვერ მოხდა. მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციას ქველმოქმედებასთან დაკავსირებით

მინი ლექციის სახით და უჩვენებს ვიდეორგოლს „ორი მეგობარი“. მოსწავლეები მართავენ დისკუსიას და პასუხობენ კითხვებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი საკუთარი ინიციატივით მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართვა /მონაწილეობა?
- როგორია ტოლერანტული ქცევა?
- მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საქველმოქმედო აქტივობაში?(მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები);
- როგორ ფიქრობთ,რატომ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი იყო მოხალისე?
- რა იქნება თქვენთვის მოხალისეობის მოტივაცია?

გაკვეთილი № 4

მასწავლებელი და მოსწავლეებს იხსენებენ წინა გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას ქველმოქმედებასთან დაკავშირებით.

მოსწავლეები ეცნობიან მე-3 ქეისს(იხ.დანართი 2) **„გიორგის ისტორია“**. აკეთებენ ანალიზს, გამოკვეთენ პრობლემას, გამომწვევ მიზეზებს და აკავშირებენ ყოველდღიურობასთან, თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს,თუ პროელემის გადაჭრა არ /ვერ მოხდა. ამისთვის იყენებენ „მარკირების მეთოდს“

მასწავლებელი აწვდის დამატებით ინფორმაციას „ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოების“ შესახებ უჩვენებს რეპორტაჟს. მოსწავლეები მართავენ დისკუსიას და პასუხობენ კითხვებს:

- რატომ არის მნიშვნელოვანი თაღლითობის ფორმების შესახებ ცოდნა ყველა მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი?
- ყოფილხართ თუ არა ფინანსური თაღლითობის მსხვერპლი?გსმენიათ ფინანსური თაღლითობის შესახებ თქვენს ირგვლივ?
- როგორ უნდა მიხვდნენ, რომ შესაძლოა თაღლითობის მსხვერპლი შეიძლება გახდე?
- როგორ უნდა დაიცვან ადამიანებმა თავი მოსალოდნელი ფინანსური თაღლითობისგან?

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარ მომზადებულ „გასასვლელ ბარათებს“, რომელსაც ავსებენ ინდივიდუალურად, იმის გასარკვევად თუ როგორ გაიგეს მოსწავლეებმა გაკვეთილზე განხილული საკითხების(დაზოგვა,ქველმოქმედება,ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება) , რა ხარვეზები დარჩა და რა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გაკვეთილის დაგეგმვისას.(იხ.დანართი 4)

გაკვეთილი № 5

მასწავლებელი ახდენს წინა საკითხების შეჯამებას „გასასვლელი ბარათების“ და ქეისების ანალიზის შედეგად. ყოფს მოსწავლეებს სამ ჯგუფად. ამისთვის მასწავლებელი დაფაზე აკრავს ფერად ფურცლებს წარწერით:“დაზოგვა“-ლურჯი ფერი, “ქველმოქმედება“-წითელი ფერი, „ფინანსური თაღლითობა და უსაფრთხოება“-ყვითელი ფერი, მოსწავლეებს ურიგებს ფერად ბარათებს და სთხოვს გადანაწილდნენ დაფაზე განთავსებულ სიტყვებთან შესაბამისი ფერის მიხედვით. თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას ,რომ საკითხის მიხედვით და ქეისზე დაყრდნობით შექმნან მინი ინსცენირება .(მოსწავლეები კიდევ ერთხელ იხსენებენ კომპლექსური დავალების პირობას და მინი სცენარების შექმნის ინსტრუქციას-იხ.ზემოთ).

მეტი თვალსაჩინოებისთვის მასწავლებელი უჩვენებს „ეკო თოჯინების თეტრის“ მინი ინსცენირების ვიდეოს (“უხილავი საგანძური“). (იხ.დანათი 5);

გაკვეთილი № 6

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში;

მოსწავლეებს მოუწევთ იმუშაონ საკანცელარიო საჭრელ დანებთან და მასწავლებელი აცნობს უსაფრთხოების წესებს.

მოსწავლეები ჯგუფებში ამზადებენ ეკო თოჯინებს,სხვადასხვა რეკვიზიტებს (წინასწარ მოგროვილი მუყაოს მეორად ყუთებს, ფოლაქებს, ნაჭრებს, ჩხირებს და სხვა) სცენარების მიხედვით, ინაწილებენ როლებს და ემზადებიან პრეზენტაცია/ჩვენებისთვის;

(წარმოდგენისთვის გამოვიყენებთ უკვე არსებულ თოჯინების თეატრის სასცენო კონსტრუქციას).

გაკვეთილი № 7

ჯგუფები ახდენენ კომპლექსური დავალების (ინსცენიერებები „ეკო თოჯინების თეტრისთ“)პრეზენტირებას კლასის წინაშე და აფასებენ. თითოეული წარმოდგენის შემდეგ იმართება დისკუსია შემდეგი კითხვების გამოყენებით:

- რა პრობლემები გამოიკვეთა სცენარში?
- როგორ გადაიჭრა ეს პრობლემა?
- პრობლემის რა ალტნრნატიული გადაჭრის გზები შეიძლება არსებობდეს?
- რა მოგეწონათ წარმოდგენაში ყველაზე მეტად და რატომ?
- როგორ გამოიყენებთ მიღებულ ცოდნას ცხოვრებაში?
- როგორ გააზიარებთ მიღებულ ცოდნას ფინანსურ განათლებაზე მეგობრებსა და ზოგადად სასკოლო საზოგადოებასა /თემში?

საბოლოო რეფლექსიისთვის მასწავლებელი სვამს შეკითხვებს განმავითარებელი შეფასებისთვის:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენით;
- რა საკითხს შეეხება თქვენს მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი ინსცენირება „ეკო თოჯინების თეატრის“ მეთოდის გამოყენებით? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

შეჯამების შედეგად მოსწავლეებს განუვითარდებათ ფუნქციურ-კომპონენტური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი ნებელობა;

- **ამ მეთოდის გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს იმაში,რომ სწავლის ყველა ტიპის მქონე მოსწავლე ჩართულია პროცესში.**

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	ძალიან კარგი	კარგი	საშუალო	დაბალი
ჯგუფის მიერ სამუშაო მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად ვერ გააცნობიერა
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად ა გადანაწილდა.	სამუშაო კარგად ორგანიზებული იყო. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათა ნაბრადა გადანაწილდა.	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო არ იყო ორგანიზებული. ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ განაწილებულა.
ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	გააჩნიათ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი.	საკმარისად გააჩნიათ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი.	ნაწილობრივ გააჩნიათ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი.	არ გააჩნიათ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი.
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს	საკმარისად იცავენ დროის ლიმიტს	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა	ვერ იცავენ დროის ლიმიტს
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური და სამუშაო ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური და სამუშაო ნაყოფიერი, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში მხოლოდ ერთი-ორი მოსწავლე აქტიურობდა. ჯგუფში იყო აქტიური და პასიური წევრები.	ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ, ჯგუფის წევრებს შორის არ შეიმჩნეოდა თანამშრომლობა

გამოყენებული რესურსები და დამხმარე ლიტერატურა:

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-3/unit-2/tool-14/

https://www.google.com/search?q=%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90&sca_esv=573498539&tbm=vid&sxsrf=AM9HkKna2U3TX5sMu2Iw8S1X3C2kwmet6A:1697313231784&source=lnms&sa=X&ved=2ahUKEwjB3oLCqPaBAxVLhqQKHew8CCYQ_AUoAnoECAEQBA&biw=1536&bih=739&dpr=1.25#fpstate=ive&vld=cid:69469835,vid:I-RVM0-Q-qU,st:0

https://www.youtube.com/watch?v=Mxw2p_sZxes

https://www.google.com/search?q=%E1%83%A0%E1%83%90+%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%93%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90&sca_esv=573572359&tbm=vid&sxsrf=AM9HkKnDaamWb7Mcfu-f4eqWsw2yiJzXOg:1697359960177&source=lnms&sa=X&ved=2ahUKEwjrvu3L1veBAxUGuqQKHdDCAbwQ_AUoAnoECAIQBA&biw=1536&bih=739&dpr=1.25#fpstate=ive&vld=cid:2409d8b7,vid:rHo8_1SjWvk,st:0

სახელმძღვანელო „ფინანსური განათლება ბავშვებსა და ახალგაზრდებისთვის“- სკოლა-ბანკი(საქართველოს ეროვნული ბანკი)